კლდე

№ 16

3 მაისი 1915 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

ფელიეტონი მეოთხე

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საქ. ს. გიორგაძეების სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грошадзе
Академия наук Г.С.С.Р.

საარჩევი: 1. ზირველი მაისობა. — დ. კ-ძისა. 2. აჯარის კლდიდან-„კლდეს“.—დ. კახელისა. 3. ჩვენ და ცხოვრება.—ქართლელისა. 4. იტირე... იტირე...—თ. იანელისა. 5. ნიკო ლომოური.—ეკ. გაბაშვილისა. 6. უზრუნველ ქართველის დდიურიდან.—გ. ახ—ელისა. 7. გერმანიის ახალშენები—გ. ჯანაშვილისა. 8. სხვა და სხვა ამბები. 9. თეატრი და ხელოვნება.

6260



ფრანგულ ფუგასის აფეთქება გერმანულ თხრილებში.

პირველი მაისობა

რა კარგია პირველი მაისი! ნაზი, კეკლუცი, მომხიბვლელი, ბუნების სწორი სამკაული, მთელი წლის სააპოთეოზო მშვენიერება, სიცოცხლე სიცოცხლისა და ცისკარი ცისკროვნებისა!

ბუნების მეჯლის არც ადამიანთა ცხოვრება ჩამორჩა. პირველ მაისს მუშათა კლასიც დღესასწაულობს თავის ძალღონის სიდიადეს, მრავალ ძსხვერპლთა დანთხეულ სისხლს, შრომის სუფევის დასამყარებლად და ასაცისკროვნებლად ამ ბედკრულს ქვეყანაზე!

მაგრამ სიკეკლუცე პირველი მაისისა, ჩვენთვის, ქართველი ერისათვის, ყოველისფერს აღემატება: იგი კურთხევაა კურთხევის, ნეტარება ნეტარების, როგორც უდიდესი ძეგლი ნეტარი თამარისა, ეს იმ თამარისა რომლის სახელიც მთელ ჩვენ ერის ცხოვრებაში დარჩა თვალ-წარმტაც ლეგენდად, ვით საზღაპრო გმირის ხელთუქნარი ძეგლი! ნუ ვიტყვით, ვინ არის თამარი, ნუ ვიკითხავთ, რამდენად მართალია მისი ღვაწლი ჩვენს ერის თავზე, —ის იყო რეალობა, ზღაპრულ მანტიით მოკვალთული რეალობა, ოცნების სანუკვარი სიზმარი, და დაე, დარჩეს კვლავ ამ მიუწდომელ ოცნებად სიხარულის ფრთაგაშლილ ფრინველად: ლეგენდა იმად არის კარგი, რომ ადამიანი მოჰხიბლოს, დაატყვევოს მშვენიერებით და დღიური სიდუხჭირის დავიწყებით ეზიაროს თავბრუ დამსხმელს ნეტარებას!

და ეს მაისი, მრავალ მნიშვნელოვანი დღე, სიმბოლო ბუნების შემოქმედების მშვენიერებისა, ქართველ ერისთვის მარად დარჩება უსაზღვრო ბედნიერებისა და თავ-დავიწყების გვირგვინად! დღე იგი ეროვნული სადღესასწაულო დღეა, მშვენიერებისა და ნეტარ მოგონებათა დღესასწაული, საღმრთო თეცხლით აღზნებული წუთიერი მარადისობა!

ვით უნდა იდღესასწაულოს ეს დღე ქართველმა ერმა? რა თქმა უნდა, არა ისე, როგორც წელს, ანუ შარშან, ტრაფარეტულად, წირვა-პარაკლისის გადახდით, —არა, აქ აღდგენილი უნდა იქნეს ჩვენს წარსულთა ჩვეულებანი, უკედ, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენს ჩვეულებათა სინთეზი, ამოვკრიბოთ ყოველ დღესასწაულიდან რაც რამე კარგია და ამ დღეს მხატვრულად შევასრულოთ აქ შევა ღამის თევა, ხატებით პროცესია, ლხინი, ჰიდაობა, აშუოთა შეჯიბრება, ცეკვა, თამაში. რა თქმა უნდა, წირვა-პარაკლისიც, ქართულად, ქართველ მღვდელმსახურთა თაოსნობით! მაშინ, სწორედ მაშინ იქნება პირველი მაისობა ნამდვილი ჩვენი ეროვნული დღესასწაული, მაშინ, სწორედ მაშინ ვინახულებთ ერთურთს, პირისპირ ვნახავთ დიდსა და პატარას, გავიგებთ, ვინა ვართ, მივხვდებით ჩვენს ძალღონის ვითარებას, რამდენად ვცოცხლობთ, რამდენად არ მოვმკვდარვართ, რამდენად შეგვწევს სიცოცხლის უნარი!

თამარი ვარდებრ მშვენიერებაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში!

ქართველ ერს აქვს უფლება ამ სათაყვანო **ვარდის** სურნელოვნებით სავსებით დასტკბეს, განიხაროს, წუთიერი თავდავიწყებით აღვიდეს მშვენიერებისა და სიკეკლუცის აცისკროვნებულ საფეხურზე, როგორც ამას სჩადიოდნენ, ჭეშმარიტად, ოლიმპიელთა ᲫᲬᲣᲜᲔᲑᲘ ჩვენი წინაპრები— ქართველი ერი!

დ. კ—ძე.

აჭარის კლდეებიდან-„კლდეს“

(ნახუდი და გაგონილი)

მაღლა, მაღლა მთის მწვერვალიდან გადავყურებდი ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲡ.

დიადი სანახავი მეშლებოდა თვალწინ.

დიდებული სურათი ნახატი საუცხოვო ფერადებით, სურათი ნახატი თვით ღმერთის მიერ!

ქვევით, ხეობის სიღრმეში, წკრიალა მდინარე ᲭᲝᲠᲝᲮᲘ გველსავით დაკლაკნილი ეხვეოდა და ეამბორებოდა აჭრელებულ მწვანე ნაპირებს. მისი აჩქარებული ტალღები აქ—ვეებერთელა ამართულ კლდეს ეხეთქებოდა, იქ— ჩამოვარდნილ საიდანღაც შუა მდინარეში უზარმაზარ ქვა-გორას გაბრაზებული სცემდა და აქაფებული ღელავდა და სჩქეფდა— გეგონებოდათ უყვირის—გზა მომეცით!

ᲪᲝᲢᲐ ᲨᲝᲠᲡ, გაშლილ ადგილას მდინარე თავისუფლად და დინჯად მიაქანებდა თავის დამშვიდებულ ტალღებს და თავაზიანად გარს უვლიდა პაწია და ლამაზ წითელ კრამიტიან სახლებს გამწკრივებულ მის ნაპირებზედ. ზევით, მთის კალთები ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡᲐ მოფენილიყო მდიდარ ნაძვისა და ფიჭვის ტყეებით, რომლის შუა გულში, აქა იქ გატეხილ ადგილებში, მოსჩანდა მშვენიერი სოფლები აჭარლებისა თავის გაფანტულ კოხტა სახლებით—

კოტეტებით, გარს შემორტყმულთა თამბაქოს და ხეხილის პლანტაციებით.

სულ მაღლა, თოვლის სავანეთ გადახურულნი აჭარა-ლაზისტანის მთანი აგვირგვინებდნენ მის საუცხოვო მშვენიერ ლანდშაფთს. ჩემს გარშემო ბუნება ლაპარაკობდა, მღეროდა და გალობდა მარტო სიმშვენიერეზედ...

ეს იყო აჭარა.

ამბობენ აქ იშვა საქართველოო.

და ეს არც დაუჯერებელი ფაქტია, რადგანაც აჭარაში — ბუნება, ხალხი და ყოველი საგანი მისი მოსთქვამს მარტო საქართველოსა.

თვით ის ტრაღედიაც, რომელსაც განიცდის დღევანდელი აჭარა, ადასტურებს კვლავ იმას, რომ ქართველთა ერის ცხოვრების ისტორია, რამდენადაც ლამაზი და კეთილშობილური იყო, იმდენად ტრაღიკული და მწარე.

——

დავდიოდი დაობლებულ აჭარელ სოფლებში.

გარშემო სიჩუმე...

არსად, არსაიდან კაცის ხმა, ანუ ცხოველის ხმაურობა.

ერთი სახლიდან ჩხავილით გამოვარდა კატა.

შევედი ამ სახლში.

პატარა კიბე ადიოდა ლამაზ სახლის აივანზედ. იქვე კიბის გვერდზედ ვეებერთელა კაკლის ძირში წყარო ჩუხჩუხებდა.

ავედი აივანზედ.

წარმოიდგინეთ მთელი აივნის სვეტები, ოთახებში შესავალი კარები საუცხოვო ჩუქურთმებით მორთული... ქართული ჩუქურთმებით!

შევაღე ოთახის კარები.

საზარელი სურათი დამიხვდა. აწეწილი საბანლოგინი, დაჩეხილი ავეჯეულობა, დალეწილი თიხის ჭურჭელი და ყველაფერი ეს ერთმანეთში არეული.

ვიღაცა ველურის ხელი, ჭკუა დალეულისა, სჩანს გაბრაზებული ჰგლეჯდა და აოხრებდა საბრალო აჭარლის ოჯახის დოვლათსა.

მოვუარე სხვა ოთახებსაც. ყველგან ერთსა და იმავე სანახაობას წავაწყდი.

ჩავედი ეზოში. პატარა საწყობი, ეზოს გვერდზედა მდგომი გატენილი იყო თუთუნით. აქაც ბოროტ სულსა დაუტრიალებია თავისი მარჯვენა და რამდენიმე წლის ნამუშავარი და დიდის შრომით აკინძული თუთუნის ფოთლები ერთმანეთში გადაურევია, დაუგლეჯია და განზრახ ფეხით გაუთელია.

ეზოში ეგდო პატარა აკვანი.

ნახევრად დამწვარი. იქვე მიგდებული ქურიდან მოსჩანდა აკვნის დამწვარი ნაწილები. მათ შორის რაღაცა ბრჭყვიალებდა. მიუახლოვდი და ხელში ავიღე ნაჯახი.

ზოგიერთ ალაგას გაშავებულ სისხლში ამოსვრილი.

ვინ იცის ვისი სისხლი იყო ამ ნაჯახზედ...

იქნებ ამ სახლის პატრონისა, ან უმწიკვლო პატარა ბავშვისა.

გულდაწყვეტილი გავბრუნდი და გავეშურე ამ ადგილიდან.

თვალწინ არ მშორდებოდა დამწვარი აკვანი და სისხლიანი ნაჯახი.

შორიდან, ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან, ბოლი და ცეცხლი მოსჩანდა.

ეს მესამე დღე იწოდა აჭარელების ერთ-ერთი სოფელი.

ეს იწოდა საქართველოს აკვანი — აჭარა.

——

შევხვდი ერი მოხუცებულ აჭარელს.

შენი გვარი?

ჰუსეინ ოღლი.

აჭარელი ხარ?

დიახ!

საიდან?

სოფელ ლურჩიდან.

შენი ძველი გვარი?

ხარაძე, ბატონო.

რატომ მალავ ქართულ გვარს?

ასე ვიწერებით. ყველგან ქაღაღდებში და ასე მოგთხოვს პოლიცია, — მომიგო პასუხად აჭარელმა.

შენ იცი მე ვინა ვარ? ვკითხე.

ღმერთმა დაგლოცოთ ბატონო, როგორ არ ვიცი ჩვენი ძმა ბრძანდებით და კეთილის მოსურნე. რაც თქვენი ხალხი აქ მოვიდა ბევრს ჩვენს აჭარელს ეშველა. არც დაგვავიწყდება ძმა ქართველების ამაგი. — ხმის კანკალით მეუბნებოდა საბრალო აჭარელი.

მაშ თუ ასეთი სანდო ვარ აბა მიამბე მოკლედ, რა მოხდა, რა საქმე ჩაიდინეთ, რომ ასეთ უბედურობაში ჩავარდით ყველანი, — შევეკითხე მესაუბროს.

რა ცუდი ჩავიდინეთ ბატონო? არაფერი. რო

გორც ომი დაიწყო ჩვენი კუთხე ყველამ მიატოვა, მოვიდნენ ოსმალონი და გვიბრძანეს:

„თქვენ ამ 40 წლის განმავლობაში კარგათ გასუქდით, სულთანი დაგავიწყდათ არაფერს არ იძლევით აბა ეხლა მოვედით და გაიპღერტენითო. ჩამოდიო. ფული და ხალხი. და დაიწყეს ჩვენი ტანჯვა. ყველას რაც კი ფული და ვერცხლეულობა ჰქონდათ, ჩამოართვეს, მერმე ყოველ სოფელში ათი, ოცი თავისი სალდათი დააყენეს და ხალხის კრეფას მოჰყვნენ კომლზედ, ორი,-სამი კაცი თან მიჰყავდათ. ვინც უარესად იყო იქვე ამ წუთს სოფელს გამოასალმებდნენ. ბევრი ოჯახიც ძალით გაირეკე, რომ წასული სადმე სახლიდან მამაკაცები მათ გამოჰყოლიყვნენ. და ასეთ ცეცხლში ჩაგვაგდეს.

„ბევრი ხალხი დაგვეღუპა. ცოლ-შვილი ხეტილაში გაგვიწყდა. წისქვილის ქვებში ვისრისებით, ბატონო, ღმერთი არის მარტო მნახველი და მსმენელი ჩვენი ტანჯვისა და გლოვისა. გვიშველეთ ბატონო, გვიშველეთ ძმებო, გვიხსენით ამ საშინელებისაგან, მოსთქვამდა მოხუცი და თან ცხარედ სტიროდა.

აღარაფრის თქმა აღარ შეეძლო. ბატონო ხუთი დღეა არაფერი არ მიჭამია, ერთი ლუკმა პური მიბოძე-- მთხოვა დიდის მორიდებით საბრალომ. ჩემს კაცს მოვავლებინე ხელი და სადგომისაკენ წავიყვანე.

შარა გზაზედ გამოჩნდნენ დარაჯნი რომელთაც მოჰყავდათ ტყვედ ახალ გაზდა აჭარელები.

მოხუცისათვის ვუთხარი საჭმელი მიეცათ და თვითონ გავეშურე ტყვეებისაკენ.

დ. კახელი.

ჩვენ და ცხოვრება

ყოველს საზოგადოებაში მოიპოვება მთელი რიგი ხალხსა, რომელიც შეჩერებულა, აღარაფერს მოელის, არაფრის იმედი არა აქვს და ცხოვრობს ისე, როგორც მოუხდება, ალალბედად, უკეთეს შემთხვევაში—ღვთის ანაბარად. მაგრამ რომ ამ ავადმყოფობით მთელი ერი იყოს შეპყრობილი, ჩვენ კურთხეულ ქვეყნის იქით, არ ვიცი, სხვას ვის ვიპოვით. თავგზის არევა, უწესრიგობა არა თუ ბრბოს მიმდინაროებაში, არამედ თვით იმათ შორისაც კი, რომელნიც ასე თუ ისე მიმართულებას უნდა უჩვენებდნენ ხალხს, იმავე სენს ვხედავთ, როგორც გარდაუვალ ბედისწერის შავბნელ ლახვარსა. ერთის თვალის გადავლებით თითქოს ჩვენც მოგვეძებნებიან ისეთი ელემენტები, რომელთაც ბევრად თუ-ცოტად აღელვებთ ჩვენი მომავლის საკითხი, მაგრამ ეს ჰხდება ფიქტიურად: არც ერთს ამ გვარ ელემენტს არ შესწევს საკმაო ძალღონე, რომ მტკიცე, შეურყეველი და გარდაწყვეტილი ნაბიჯით, მოდიოდეს, დიადის რწმენით, მღელვარე ტემპერამენტით. აი, ამიტომ არის, რომ ყოველი მისი სიტყვა უმნიშვნელოდ ჰქრება, უკვალოდ, მისი თანამოზიარენი კიდევ გზადაბნეულ ჯარის კაცებს მოგაგონებენ, რომელნიც ბრძოლის ველს მოსწყვეტიან, სადღაც ტყეში ამოუყვიათ თავი და ერთმანეთს შემკრთალი ხმით ეკითხებიან: სად ვართ? წინ წავიდეთ თუ უკან დავბრუნდეთ? და მართლაც, სად არის ჩვენ ცხოვრებაში ის წერტილი, როგორც სივრცის ჩრდილოეთზე გაკაშკაშებული ვარსკვლავი, რომ ჩვენ კომპასად მოვიხმაროთ გზის გაკვლევის დროს? ჩვენ მამებს ჰყავდათ ისეთი ძლიერ—პიროვნებანი, რომელთაც ჭავჭავაძისა, ნიკოლაძისა და მათ ძმათა სახელებით ვიცნობთ. დღეს? ასეთ ავტორიტეტს ველარ ვხედავთ, რომ ჩვენს ცხოვრებაზე აღმაღლდეს და ჩვენი ყურადღება და პატივი დაიმსახუროს. ვერც თანამედროვე დემოკრატიულ სულის შეტანამ გვიშველა: მთელი ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს სოციალურ და ზნეობრივ ღრმა გახრწნას, სრულიად მოუმზადებელი ელემენტები გამოსულან მკურნალებად, უენერგიოთ, უინიციატივოდ, რისგანაც ყოველი მათი პასუხი უბრალო პოლიატივებად რჩება, ანუ ბოდვისა და ციებ ცხელების სინონიმად, ვიდრე მკურნავ მალამოდ. აი, ამიტომ არის, რომ ჩვენი პროგრესი მართლაც, ერთ დროს სანუკვარ „გაპროლეტარებაში“ გამოიხატა, ჩვენ ჩვენი უვარგისობით, ჩვენი შეუგნებელი პოლიტიკით ნელ-ნელ დავკარგეთ და ვკარგავთ ნიადაგს, ტერრიტორიას. ავიღოთ თუნდა ახლანდელი მწვავე საკითხი, რომელიც აჭარელთა მდგომარეობამ წამოაყენა. რაერთი ხანია გვეყურება, რომ ეგრედ წოდებულ „მოღალატე“ მაჰმადიან ქართველთა მამულ-დედულში მასსიურ გადმოსახლებას უპირებენ ან რუსეთის შიდა გუბერნიებში მცხოვრებთ, ან და „ბეჟენცებსაო“. ჩვენ გვესმის ამ გვარი პოლიტიკის მიზანი, როდესაც რუს გლეხობას რკალსავით გვარტყამენ და ისე-დაც მცირე მამულს გვივიწროებენ, თუნდაც იმათ გლეხობისთვის ჩვენებური ჰავა სიმკაცრეს იჩენდეს

და მათთვისაც ბევრად უმჯობესი იყოს შიდა გუ-ბერნიების თვალ უწვდენელ ცარიელ მამულებში გადახიზვნა. ისიც კარგად ვიცით, თუ ვინ არიან ეს ,,ბეჟენცები'', ან რამდენად, ანუ რატომ სპირიათ ჩვენს ქვეყანაში დასახლება. ეს კარგად დავინახეთ ერთ ერთი ჩვენი თანამშობელის მთელი სერია წერილებიდან, როდესაც ,,გამოქცეულებზე'' ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ რეალურად არავითარი ზომები არ მიგვიღია, რომ ეს გარდაწყვეტილება სისრულეში არ იქნეს მოყვანილი. ჩვენ გვამშვიდებენ, რომ ამ გვარ ,,გადმოსახებულთ'' უკედ ხიზნებს'' მხოლოდ დროებით ვასახლებთო. მაგრამ ისიც ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ თუ რას ნიშნავს ეს „დროებით"! კანონის ძალით შვიდი წლის განმავლობაში თუ ,,ხიზანი'' მიწას ამუშავებს, მაშინ მიწა მის საკურებად გამოცხადდება. მაშასადამე, უნდა ვიიმედოთ, რომ შვიდიოდე წლის უკან ეს მშვენიერი კუთხე ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ბედმა და გარემოებამ ასეთი სასტიკი განცდა აკუთვნა, გადმოსახლებულთა განუყოფელ ნაწილად ჩაითვლება და მოხდება სავალალო მეტამორფოზა: ისინი, და არას მექონნი მედიდურ მესაკუთრებად შემოვლენ და ჩვენი ქვეყნის ღვიძლი შვილები კი ან მათ დანატოვ გუდას აიკიდებენ და ოსმალეთის გულში გადიხვეწებიან, ან არა და რუსეთში თავ-გაკრულნი მბეჟუტავ სანთელსავით ჩაჰქრებიან. და ყველა ეს იმ დროს, როდესაც მთავრობის მიერ უკვე დამტკიცდა, თუ როგორი ,,მოღალატენი ყოფილან'' ჩვენი ძმა მაჰმადინები! დღეს, როდესაც მათმა აღალ-მართლობამ გაიმარჯვა, როდესაც დაინგრა შავ-ბედითი პოლიტიკა, რომლითაც ჩვენს მაჰმადინ ძმებს თავ გზას ურევდნენ და ,,უცხოელობის'' უმტკიცებდნენ, დღეს, ვიმეორებთ, როდესაც აღდგენილი იქნა გენეზისი ჩვენი ვინაობისა, ეს შეგნება, ეს პოლიტიკური გამარჯვება. ეს დიადი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უბრალო სენტიმენტალურ თანაგრძნობაში, ყავა-ხანის გახსნაში და რაღაც გროშების მოგროვებაში დავინახეთ! რომ პატარა მომწიფებულნი ვიყვნეთ, მაშინ უშიშრად, მოურიდებლად იმდენ მოქალაქობრივი გამბედაობასგამოვიჩენდით, როგორც ამას სჩადიოდნენ ჩვენი ეროვნების წინა მედროშენი დიმიტრი ყიფიანი, ანუ ილია და მთავრობასვე ვთხოვდით კომპესანციას, რომ უდანაშაულოდ დასჯილი მხარე აღედგინა და გაფანტულ მაჰმადიან ქართველობისთვის მოეწოდებინა გაოხრებულ სახლ-კარისათვის მოეხედნათ. ჩვენ ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ სათანადო ანგარიში გაგვეწია დამხმარე კომიტეტისთვის, რომელიც ყოველგვარ შემოწირულებას მხოლოდ „ბეჟენცებისთვის" ანაწილებს და მათს იქით სხვა დაზარალებულს არავის ჰხედავს! არა, თუ ჩვენ ქართველები ვართ, თუ ცხოვრებისა გვესმის რამე, თუ გვსურს მომავალი ჩვენი დამყვედრებელი და შემგინებელი არა ვყოთ, საქმით და არა სიტყვით, უნდა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს ძმებს და, რაც უმთავრესია, გადაჭრით მოვითხოვოთ, რომ ყოველგვარი გადმოსახლება უცხო ელემენტებისა შეუწყნარებული იქნეს და აჭარა, ეს ჩვენი ქვეყნის სათუთი ნაწილი, დარჩეს კვლავ ჩვენ ძმა მაჰმადიანთა კერად! აჭარა აჭარელთათვის და სამართლიანობა,—აი წადღეისო საკითხი, რაზეც სათანადო პასუხი უნდა გავცეთ ყველამ, თუ რამ პოლიტიკისა გვესმის კიდევ და სრული აპატია არ მომხდარა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ აზროვნებაში!

ქართველი.

ᲘᲪᲘᲠᲔ... ᲘᲪᲘᲠᲔ...

(ინფანტას)

ეს ჩემი უკანასკნელი მაისია...

ამდენი ხნის ნაავადმყოფარმა მხოლოდ დღეს ვიგრძენი ოდნავი მოკეთება, ავსწიე ბალიშში უნებოდ ჩაწოლილი თავი და ფანჯარას გავხედე..

ჰეი, გაზაფხულო—ჯადო ხარ, ჯადო, სიკვდილსაც კი სიყვარულად აარაკრაკებ!..

და რა დავინახე ლურჯი ცის გაშლილ გუმბათში. ალერსიანად განაზებული ღრუბლის კულულები, რომლებიც დნებოდნენ მზის სხივებში—მე გამახსენდა ჩემი სამშობლოს ცა, რომლის სილურჯე მთელი დედამიწის ზურგზე განსაკუთრებულია, სამშობლოს ღრუბლები, რომელთა ფაქიზი სინაზე და გარინდული სევდიანი სიმფონია ოცნებაზედ უტკბილესია... მე გამახსენდა დრო, როცა მაგ მშვენიერების შეგნებით ამაყი და ბედნიერი ვიყავი, გამახსენდა უსამართლო ღმერთების მიერ შეთხზული კანონი, რომელსაც სიყვარული ეწოდება, გამახსენდა ის—რომ ეხლა ჩემთვის უკანასკნელი მაისია და... ქვითინი მოსკდა გულს, ცრემლებმა მკერდი დამინამეს...

* * *

ეჰ, მოგონებავ! უცნაური ხარ ვით სიყვარული—ტკბილი ხარ და მწარე, მწარე ხარ და ტკბილი...

ჩემი უკანასკნელი საღამო საქართველოში, სავსე იმედებით, მომავლისადმი სიყვარულით, გაბედნიერების მოლოდინით... თამართან მუსაიფი...

დილით ადრე მოვიდნენ „მუნდირიანი სტუმრები", დასჩხრიკეს ჩემი ოთახი... იყვნენ სასტიკნი... მეპყრობოდნენ ტლანქად... შემდეგ საპოლიციო ნაწილი. და საღამოს მეტეხის ციხე... საიდუმლო კამერა, ცივი... ცივი... ფანჯრის რკინის ხლართულებიდან ვაჩერდებოდი მტკვარს... მერე ქალაქს... საქართველოს დედა ქალაქს და ვეძებდი იმ სასწავლებელს, სადაც ასწავლიდა თამარი... რვა თვეს—მეტეხი... შემდეგ ეტაპი და ბოლოს ეს მკვდარი, უსიცოცხლო, ყინულის ქვეყანა ციმბირი... ციმბირი ჩვენი სამარე... ნორჩი საქართველოს უმთავრესი საფლავი... ციმბირი—მოფენილი ქართველთა ცხედრებით... ციმბირი—თითქმის სავსე ლანდათ ქცეულ ქართველების სახეებით... ქვეყანა—სადაც უმოწყალოდ იხოცებიან რჩეული ქართველები სიცივით, შიმშილით და ჭლექით... ჭლექით... გუშინ დაასაფლავეს ორი... შორს კი სამშობლო, ჩვენი ოცნება საქართველო—სადაც ყველა ამისათვის ჩვენთვის საყვედურის მეტი არა ემეტებათ რა... არც შორეული თანაგრძნობა...

ჯერ არ ვცხრებოდი... გაპარვის სურვილი... გაქცევა და კიდევ ბრძოლა... კიდევ თავდადება სამშობლოში... კიდევ ერთი განავარდება საქართველოში... არა ვცხრებოდი დიდხანს... აგერ ოთხი წელიწადია რაც აქ ვარ... მერე სისუსტე და დაძაბუნება... მერე უიმედობა და „სულერთია, სულერთია"-ს ძახილი... მერე ჭლექი და ხველა... და ეხლა... ეხლა უკვე უკანასკნელი მაისი... და ყველაფერი ეს: უსიყვარულოდ... მარტოდ... ობლად...

ეჰ, გაზაფხულო!

* * *

გწერ ამას შენ—ჩემ საუკეთესო მისწრაფებათა იალბუზო, ჩემი სულის ალერსო, ჩემ მოგონებათა შარავანდედო, საქართველოს ტანჯვათა ნაზო განსახიერებავ, ჩემო თამარ!.. ეს ჩემი უკანასკნელი მაისია, მაისი, სიყვარულის თვე, როდესაც ჩემი სამშობლოს არა თუ ზედა პირზე მეფობს სიყვარულის ფიცი, საფლავებშიაც კი კუბო კუბოს სიყვარულზე ეჩურჩულება...

ეს ჩემი უკანასკნელი მაისია... კალამი უკანასკნელად მიჭირავს ხელში და ეს წერილიც ჩემი სულის უკანასკნელი აღსარებაა...

ჩრდილოეთის ცივო ნიავო, გემუდარები: გადასცე იგი ჩემი სამშობლოს მათრობელ ნიავს...

* * *

ეჰ, გაზაფხულო! ჯადო ხარ ჯადო...

მახსოვს, ჯერ კიდევ როცა ჩემი ოცნება გეძებდა შენ, და ამ ძებნაში ნელი-ნელ იღალებოდა სულის ძაფები, ჩემი ქვეყნის დედა ქალაქის ფართო პროსპექტზე შეგხვდი...

როგორ ნათლად მიდგია თვალწინ ეს ცხადი სიზმარი!..

შენ მოდიოდი—ინფანტა, ინფანტა.. ლერწამივით მაღალი. აფეთქილი მკერდი ნელის სუნთქვით... ნელი ნაბიჯი ისეთის შეთანხმებული მუსიკალურის ტაქტით,—როგორც სამგლოვიარო სიმფონია, სიყვარულის დასამარების დროს შექმნილი. შავი კუპრისფერი თმები, სადად დაბნეული ამაყ თავზე და ტალღათ გადავარცხნილი ცალ მხრით... მაღალი, გახსნილი შუბლი. გალა მარჯნისფერი ტუჩები—რომლებსაც ოდნავად აშუქებდა ატმის ყვავილისფერი შორეული ღიმილი.. გრძელი წამწამები—და დიდრონი, შავი, შავი თვალები—რომელთა ცქერაში ყველა შემხედვარეს გააოცებდა უზომო სევდა, დაფერფლილი სულისტკივილი, მშვენიერების ძებნაში დაკარგულ დროზე მწარე ქვითინი—ღმერთო ჩემო—ესე იგი ნამდვილი ქართული, ნელი და მწველი სიყვარულით სავსე თვალები, რომლებშიაც აღბეჭდილიყო ჩემი ქვეყნის მშვენიერი სასოწარკვეთა, ამაყი წარსული და მორცხვი იმედი აღდგენისა...

შენ მოდიოდი... და შემამჩნიე რა, რომ მე თითქოს დავები შენი ნახვით, თითქოს დავთვერი, რომ მთელი ჩემი არსება გადავიდა ჩემს თვალებში და ეს თვალები სათნო გაუმაძღრობით შენს სიმშვენიერეს მიეჯაჭვა, შენ გადმოისროლე ჩემსკენ ერთი შეხედვა და გაიარე... შეხედვა რომელმაც გაჭკვეთა ჩემი სული და მე, ბნედა-ნარევმა,ვით სიზმარში ჩავილაპარაკე:

საქართველოს ასული, საქართველოს ასული!..

მოვიხედე შენსკენ და ნიავს გამოვატანე:

მიყვარხარ საქართველოს ასულო! მიყვარხარ!..

ოჰ, მოგონებავ ტკბილი ხარ, ტკბილი!..

* * *

ჰეი გაზაფხულო! ჯადო ხარ ჯადო, სიკვდილსაც კი სიყვარულად არაკრაკებ!..

იტირე, იტირე თამარ!

ჩემი უკანასკნელი ოხვრა გეკუთვნის შენ. უკანასკნელი სიტყვა ჩემ მიერ წარმოთქმული იქნება შენი სახელი..

იტირე, იტირე თამარ!

ჩემზე ერთგული მკობელი შენს მშვენიერებას არ ეყოლება.

იტირე თამარ! ჩემზე უფრო მკაცრ საყვედურებს შენ არავინ არ გაგაგონებს!

ეჰ, რა რიგ მიყვარ ხარ თამარ! გაზაფხულო, ჯადო ხარ, ჯადო! ეხლა ამ ჩემთვის უკანასკნელ მაისში მიყვარხარ ისე—როგორც პირველ დღეს შეყვარებისა. ეხლა კიდევ უფრო ლამაზად, პოეტურად, მხიბლავად, სევდით.. მე ვიცი: შენი სიმღერა უკვე ნამღერია, გულდამშვიდებული ვკვდები--შენი ბედნიერების ხომალდი უკვე დამსხვრეულია როგორც ჩემი... შენი ელდორადო წაშლილია... მე ვიცი ეხლა გესმის ჩემი ტკივილი და ვგრძნობ ამ სტრიქონებს დაალბობენ ცრემლები შენი გვიანი სინანულისა... ჩემი სიცოცხლეც ამ გაზაფხულს ჩაეკონება საუკუნოდ.. უიმედოა ჩემი ფიქრი, მაგრამ ტკბილია მოგონება, სევდიანი მოგონება ჩემი შენდამი უმწიკვლო, ღრმა, ფაქიზი და არდაფასებული, უბედური სიყვარულისა...

ეჰ, მოგონებავ! მწარე ხარ, მწარე...

* * *

ეს ჩემი უკანასკნელი მაისია...

ეს გაზაფხული ჩამიკონებს მე და მომავალი არც კი იკითხავს თუ ვინ იყო ივერიკო სევდიანი ძე..

იტირე, თამარ, იტირე!..

შენდამი წმიდა სიყვარული შეუბღალავად ჩამაქვს ცივ სამარეში! მუდამ გიკაწრავდეს სულს მოგონება ივერიკოზე – რომელსაც უყვარდი შენ ჯერ დაუწერელი, ჯერ გამოუთქმელი, ჯერ წარმოუდგენელი სიყვარულით.

ჰეი, გაზაფხულო! ჯადო ხარ, ჯადო—სიკვდილსაც კი სიყვარულად აარაკრაკებ!..

ჩიტები ჭიკჭიკობენ... ვხედავ, აგერ ხუთმა ქართველმა გაიარა... გადმოსახლებულები აქ, დევნილნი სამშობლოდან, რა გასაოცრათ ვიელიტებით ჭლექით... ჭლექით... და ჩემს სამშობლოში კი „დვორნიკები“ უელიან დავლურს... „დვორნიკები“ ეტრფიან საქართველოს საზღაპრო ასულთ!..

შურის ძიებავ! შეისხი ფრთები! მაგრამ მე?.. ეს ჩემი უკანასკნელი მაისია და...

ეჰ, მოგონებავ, მწარე ხარ, მწარე...

* * *

თამარ! ჩემო თამარ! გაფიცებ შენი მიცვალებული ოცნების ცხედარს, მოიგონო ივერიკოს ერთად ერთი ოცნება: შენი სიყვარულის მოპოებისა!.. მოიგონო ის—თუ რა უსამართლოდ დამარხე შენ ორი მშვენიერი სიცოცხლე: შენი და ჩემი... აუშვი მოგონების იალქნები!..

ეჰ, ბევრი, ბევრი რამ მოგაგონდება: შენ მოგაგონდება ის თუ როგორ ამაღლდა ჩემი სულისკვეთება შენი გაცნობით... გახსოვს? – ქართულ თეატრში... როგორ გაგახსენე მე ჩვენი პირველი შეხვედრა.. გაგახსენდება ჩვენი მუსაიფის დროს ჩემი სიტყვები—გახსოვს?—როგორ დამაჩერდი შენი მშვენიერი თვალებით ამ სიტყვების წარმოთქმის დროს: ქართველი ვაჟის ბედნიერებაა გაიგონოს შეყვარებულ ქართველ ქალისაგან ქართული შესანიშნავი სიტყვა: „გენაცვალე“... რა რიგი სიცხადით მახსოვს მაშინდელი შენი ღიმილი... მოგაგონდება ისიც, თუ რა რიგ სევდიანად გადმომხედე როცა მე ვსთქვი: ცხოვრებას აქვს მხოლოდ ერთად ერთი აზრი, რისთვისაც ღირს სიცოცხლე—უანგარო სიყვარული... „სიყვარული!“ — სთქვი შენ და ხანგრძლივი დუმილი გაამეფე...

მეორე შეხვედრა იმავე თეატრში?—ღმერთო ჩემო! რატომ ერთხელ კიდევ არ განმეორდა ეს ზღაპარი!.. მთელს დღეს დავდიოდი სევდა აშლილი... საღამოს კიდევ უარესად ვიყავ: არ ვიცოდი რა მეკნა, სად წავსულიყავ... ერთ ალაგას ვერ ვისვენებდი... და ასე გარინდული, კაცთ-მძულვარებით შეპყრობილი შემოველ თეატრში... არავინ არ შემიმჩნევია ისე გავსწიე მესამე რიგისაკენ—ჩემს ადგილზე... მოვედი და დაგინახე შენ ჩემი სკამის გვერდით მჯდომარე! როგორ მოულოდნელად დაიფერფლა ჩემი სევდა! როგორ იცვალა ფერი მსოფლიომ! გავარდისფერდა ოცნება! გახსოვს მაშინდელი ჩვენი მუსაიფი ლეკურის შესახებ? ჩვენ დავადგინეთ მაშინ ერთად—რომ ქართული ვერსიით ნაცეკვი ლეკური საუკეთესო ლეკურია, რომ ქართული ლეკური კავკასიელ ყველა ერთა ლეკურს სჯობია... ქართული ლეკური—ეს დამთავრებული ლეგენდაა, მოთხრობა სიყვარულისა, წარმტაცი

ზღაპარი... და ამ დროს შენ ხელიდან გაგივარდა პროგრამა... შენ დასწვდი მას... მეც არ ჩამოგრჩი... და ორთავეს ხელები გაეშურენ ძირისაკენ... შენ დაიხარე... და ამ დროს ჩემი პირისახე შენი თმის ტალღაში გაეხვია... „ანგელოსმა შემახო ფრთები“ —მახსოვს, გავიფიქრე იმ წუთს... თმების ტალღა რბილი და შრიალა ვით აბრეშუმი... გრილი... გრილი და ნაზი... ამ წუთების გადმოცემა არ შეიძლება... მე გავირინდე... ალმური დასცხრა... ოცნებამ იფეთქა და უცებ გაიყინა...

შენი გრილი თმა... გრილი თმა... ნეტავი ქვეყნად თუ კიდევ არის მაგაზე უკეთესი თმა? შენ გასწორდი... შემომხედე და წყნარად ჩაიცინე... ღმერთო ჩემო!—რატომ ერთხელ კიდევ არ განმეორდა ეს ციური, ღრუბლის ზღაპარი?..

* * *

ქალი? ეჰ, ღირს კი ქალი იმათ, რომ მისთვის იტანჯოს კაცის აზრმა, კაცის სულმა და გულმა? არა, არა, არ ღირს... რა გვიანია ეს შეგნება! განა ყოფილა ოდესმე ქვეყნად რომ წმიდა სიყვარულს გამარჯვება რგებოდეს წილად? მაშ რათ არის, რომ სიცოცხლის აზრი მაინც სიყვარულშია? ეჰ, გაზაფხულო, ჯადო ხარ ჯადო...

რა არის ქალი, თამარ, თუ კი შენ—უკეთესი არსება ქალთა შორის, ასეთი ხარ? და რა ხარ შენ? გსურს იცოდე?—ჰა, გაიგონე! მეძავი ხარ შენ!

ससუუ! აგერ ორი ქართველი მოღიღინობს, თავჩაქინდრულად... რას იმღერიან? ჩუ:

ასე ვუთხრათ საქართველოვ, აღსდეგ,
გახდი კვლავ თავხედი ..
გვაბრძოლე, ნუ დაგვაგლახე, შეიწირე
ჩვენი ბედი ..

სოციალ-დემოკრატებია... მამია გურიელის „ალავერდი“-ს იმღერიან... შეწირულია, შეწირული, მეგობრებო!..

იტირე, იტირე, თამარ! გასაგმირავია ეს სიტყვა: მეძავი, მაგრამ იცოდე უკანასკნელი გაზაფხული მიბრძანებს ვიყო წრფელი ჩემს სიყვარულში, როგორც ყოველთვის... ეს შავი სიმართლეა, სიმართლე მწარე, და მაგ სიმართლის ბრალია ჩემი დღეების უდროოდ დათვლა... ყოფილიყავი ჩემი შენ—და მე ვიქნებოდა უბედნიერესი ქვეყნად, ვიცოხლებდი, გაგაღმერთებდი... გამწირე შენ და მე უდროოდ ჩავდივარ ჩრდილოეთის ცივ სამარეში... სამშობლოს მონატრული!., სამშობლო და შენ, შენ და სამშობლო, სამშობლო განახლებული—აი ჩემი ოცნების ელდორადო... ეს ორი მცნება ხანდისხან ერთებოდენ შენში... მაგრამ შენ? ნაადრევად ჭაღარა ნარევს, უსიყვარულოდ გეფერფლება გული. ქვითინებს შენი სული დღით და ქვითინებს ღამით... სტირიან შენი თვალები როცა ხარ მარტო... ეხლა მეც სამარეში ჩავდივარ—ეს ჩემი უკანასკნელი მაისია და სხვაც? სადღა არის, თამარ, სხვა?

იტირე, იტირე თამარ! გახსოვს? ერთხელ ეკლესიის კუთხევაზე მე თითქოს ვერ შემამჩნიე, მოიგონე-გაფიცებ ტანჯვას,—რადგან ამ დროს შენ ტრფობით ეპყრობოდი ერთს მაზრის მარშალს, ყოვლად უნიჭოს, მაგრამ ძლიერ მდიდარს და წარჩინებულს... მე შემოგხედეთ ორთავეს... უნიჭო მარშალი დადიოდა ისე—თითქოს სულ ერთი ყოფილიყოს—საქართველოს მშვენიერი ასულთან დადის თუ რომელიმე საგუბერნიო სეკრეტართან... შენს სახეში კი ამოვიკითხე სურვილი მარშლის გაბედნიერებისა...

რამდენჯერ დაგიდვია შენ მაგნაირად სასწორზე შენი ბედი? რაში გასცვალე შენ მშვენიერების შინაარსი“. რას ნიშნავს ეს თუ არ იმას, რომ შენ, უმშვენიერესი ქალი, შეგნებული არსება—მაინც მეძავი ხარ, რადგან შენ გმობ სიყვარულს მხოლოდ იმიტომ რომ იქ ტანჯვაა სიღარიბეში? და თუ შენ—უკეთესი ქალთა შორის—ასეთი ხარ, რავა ითქმის სხვა ქალებზე, თამარ?—ოჰ, ქალები, ქალები...

მომიტევე, მომიტევე თამარ—ყველაფერი ეს მართალია რაც ვსთქვი. მაგრამ მე აწ არაფერი საქმე მაქვს არც სიმართლესთან, არც უსამართლობასთან... ეს ჩემი უკანასკნელი მაისია და ჩემი უკანასკნელი ფიქრები გეკუთვნიან შენ, ჩემი სამშობლოს ნაზო განსახიერებავ, საქართველოს სულო, ჩემო თამარ!..

დავსუსტდი... ჰეი, გაზახულო, ჯადო ხარ, ჯადო, სიკვდილსაც კი სიყვარულად აარაკრაკებ.....

. . . . . .

——

P. S. შარშან გარდაიცვალა ჭლექით ციმბირში გადასახლებული ახალგაზდა მხატვარი ივერიკო სევდიანიძე. ეს წერილი მას დაუმთავრებელი დარჩა და არავინ იცის კიდევ რის თქმა უნდოდა მას, უდროოდ სასომიხდილს, უსიყვარულოდ საფლავში ჩასულს... არც ის იცის არავინ თუ ვინ იყო ის შესანიშნავი საქართველოს ასული, რომლისა-



ფრანგული გემის „ბოუვეს“ დაღუპება ლაბრადორელის სრუტეში.

დმი ტრფობაც მას, მიუხედავად მისი უკიდურესი ჰესიმიზმისა—ასე ღრმად და რაინდულად შეუნახავს საფლავის კარამდი...

ჭეშმარიტად: გაზაფხული, ჯადო, ხარ, ჯადო, სიკვდილსაც კი სიყვარულად აარაკრაკებ!..

თ. იანელი.

ნიკო ლომოური

კიდევ ცრემლები, ცრემლები მწარე და მდუღარე, როგორც ძვირფასის მეგობრის დამკარგველისა და მასთან უფრო მწველი, რომ ჩემი პირადი მეგობარი ნიკო იყო საუცხოვო და ფასდაუდებელი.

მე ვსტირი ნიკოს ისე, როგორც ადამიანი კერძოდ, და ისე როგორც ქართველი ქალი საზოგადოდ, და ცრემლები ჩემი გულ მხურვალეა და წრფელი, ერთი ათად იმიტომ რომ ის იყო ნამდვილი ადამიანი, ამ სიტყვის ფართე და უსაზღვრო ადამიანურის ღირსებით აღსავსე: კეთილი, სათნო, მართალი, ?ოსიყვარულე, ალერსიანი და კაცთ მოყვარე ნიკოსთანა წმინდა, ანკარასავით სუფთა, ფაქიზი და ზნეობა მაღალი შვილები შუქს ჰფენენ თავის დაჩაგრულს, მაგრამ ამაყს და გულ გაუტეხელ სამშობლოს. ნიკოსთანა შვილები გაუქრობელ ნუგეშის ღიმილს ანთებენ მშობლის გულში და საუკეთესო მომავლისკენ ახედებენ, იმ იმედით რომ იმათთანა დვრიტაზედ, უეჭველია, აღორძინდება მშვენიერება რამ ყვავილი მომავლისა, რომელიც თავისის ანდამატობით კვლავ მიიპყრობს ჩვენი ქვეყნის ყურადღებას.

ეს სისპეტაკე სულისა უძვირფასესი განძია ქართველის სულის თვისებისა და ქართველობაც თაყვანს სცემდა თავის ტკბილ ნიკოს უპირველესად როგორც **კაცს—ადამიანს** უზადოს და მერე როგორც ავტორს ჩინებულის და ბრწყინვალე ნიჭით ქართულის—მუსიკალურის ენით დაწერილის მოთხრობებისა.

როცა ნიკოსთანა კაცი კვდება, როცა იმისთანა მირონცხებული არსება ესალმება წუთი სოფელს; დარჩენილნი სტირიან, სტირიან გულწრფელად და მდუღარებით და ეს მდუღარება გულის ტკივილთან ერთად იმის სულს აიაზმასავით ესხურება და იმის ბუნების წმინდათა-წმინდას, ხანდისხან დიდი ხნის მიძინებულს და თავ-ნაცარ წაყრილს, აღვიძებენ და მწუხარებას გამოურკვეველის სიტკბოებით აზავებენ, სულის სიმშვიდეს, ზნეობის ამაღლებას აგრძნობინებენ...

ეკ. გაბაშვილი

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან-კვირამდე)

ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი:
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!...

ჰო, მე და ჩემა ღმერთმა! განა დიდი ილია უბრალოდ, მოუფიქრებლად, რასმეს იტყოდა, ვიდრე თვისი ბუმბერაზული შორს-მჭვრეტელობით ათ-ჯერ და ასჯერ არ გაზომ-აწონიდა ნახულ-გაგონილს?! ჭეშმარიტად, რომ ყოვლად მთმენი ვართ, ვით ჯორ-ცხენი: ვის გინდათ რომ აბუჩად არ ვყავდეთ აგდებული და მოურიდებლად არა ჰქელავდეს ჩვენს თავმოყვარეობას! და ეს მხოლოდ იმიტომა ხდება, რომ პირ-უთვნელი, სასტიკ-ანგარიშის მომთხოვი საზოგადოებრივი აზრი არ არის ჩვენში! აიღეთ თუნდა ბოლო დროის მომხდარი, ნათქვამის დამადასტურებელი, ინცინდენტი, რაზედაც ჩვენ განგებ ყურს ვიყრუებდით, ვინაიდან ჯერ ველოდით ავტორიტეტულ აზრს ქ. კულტურის მოყვარულ საზოგადოებისას. ჩვენ მოგახსენებთ „შაშვი, კაკაბის შებმაზე“, უკაცრავათ ბ. კაკაბაძის და ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა შებმაზე, რამაც აალაპარაკა ჩვენი პრესა და ბ. გე-ვა-ლიმ კიდევ კინაღამ ნამდვილ ომის დღიურშიაც კი მოიხსენია. გასაკვირველია, ღმერთმანი: რატომ კაკაბაძისებურ გეროსტრატულ გამოსვლას მხოლოდ ჩვენში უნდა ჰქონდეს ადგილი! აიღეთ თუნდა ჩვენ მეზობელ სომხების „მეცნიერთა“ მოქმედება, ისინი, პირ-იქით, არსებულ ისტორიულ ფაქტების ამოფხეკასაც კი არ ერიდებიან ხოლმე თავიანთ ერისთვის სახელის მოსახვეჭად და ისეთი, ყველასგან პატივცემული და მიუდგომელი მკვლევარი-პროფესორი, როგორც არის ბ. მარი, არ დაინდეს, გააძევეს ვანის ნანგრევების კვლევისაგან, ვინაიდან, ზოგიერთი ისტორიული საბუთები, იმათი სახეირო არ გამოდგა... ჩვენებური ზოგიერთი

„ნასწავლ-მკვლევარნი“ კი, როგორც ეს თავის დროზე აღინიშნა ბ. კაკაბაძის შესახებ, თითქოს განგებ სცდილობენ არსებულ ისტორიულ ფაქტების გადამახინჯებას თავისივე ერის სავნოთ და სახელის გასატეხად. შეიძლება ისტორიის კაკაბაძისებური „გაშუქება“ კიდეც ესიამოვნოს აღნიშნულ ქალთა კურსების დამაარსებელ სოლოლაკელთ, მაგრამ, სინიდისიც ხომ კარგი საქონელია!. ქართ. კულტურის მოყვარული საზოგადოების გასულ კვირის კრებაზე, სხვათა შორის, ამ ინცინდენტის განხილვა იყო წამოყენებული, რის გამოისობითაც, უმთავრესად, იმოდენა საზოგადოებას მოეყარა თავი. აღნიშნულ საზოგადოებამ, ეტყობა დაშინებულმა პრესაში გამოთქმულ ერთ ახირებულ აზრით, რომ „მეცნიერი*) თავის კვლევა-ძიებაში თავისუფალი უნდა იყოს საზოგადოებრივ კრიტიკიდანაო,—

— მიიღო დადგენილება: „აღნიშნულ ინცინდენტზე კამათი მოისპოს, ვინაიდან იგი საზოგადოების კომპეტენციას არ შეადგენსო“... Вотъ тебѣ и здравствуй! - რუსები რომ იტყვიან. აბა ჩვენ რა გვეთქმოდა რომ ბ. კაკაბაძეს თვისი „გამოკვლევა“ უტყუარ საბუთებზე დაემყარებინა. და სწორეთ ეს საბუთები უნდა მოეთხოვა აღნიშნულ **ქართ. კულტურის მოყვარულ საზოგადოებას** თავისივე „წევრ ბ. კაკაბაძისაგან. და თუ ეს საბუთები უკანასკნელის ჩვეულებრივი ფანტაზიის ნაყოფი გამოდგებოდა,—შესაფერი მსჯავრის გამოტანასაც არ მორიდებოდა. ახია ჩვენზე, თუ იგივე კაკაბაძე ხვალ, ან ზეგ პირდაპირ უშვერი სიტყვებით მოიხსენიებს მთელს ჩვენს წარსულს, მე თქვენ გითხრათ პასუხს ვინმე მოსთხოვს ესეთ „მეცნიერულ“ რწმენისათვის.

— —

თავისებურივე რწმენა ჰქონია საპედაგოგიო ჟურნალ „განათლების“ რედაქტორს ბ. ბოცვაძეს თავისავე კოლეგებზე - სახალხო მასწავლებლებზე. იგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ სახალხო მასწავლებლები „ღატაკნი არიან გონებრივად და ზნეობრივადო“... რომ ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებს მართლაც აკლიათ ჯეროვანი მომზადება და მათგან ბევრს თავისი მადლიანი საქმის დროშა, მაღლა არ უჭირავს და ამიტომ იმათი მოქმედების ნაყოფიც მეტად მცირეა,—ეს ბევრისათვის აშკარაა, მაგრამ ბ. ბოცვაძისებური, რუსები რომ იტყვიან, „ბეზშაბაშნოე“ მსჯავრის გამოტანა,—ეს ერთნაირი გაბედულობით და უპასუხისმგებლობით თუ აიხსნება..,

— —

რით აიხსნებაო, გულ-უბრყვილოთ კითხულობს გაზ. „შადრევანის“ **შორაპნელი კორესპონდენტი,** რომ „ჩვენი სამკითხველო თანდა თან ღარიბდება, მკითხველები თანდა-თან აკლდებიან და, სამაგიეროთ, ადგილობრივ ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი კარტსა და ნარდს თამაშობს გონება გაბრუებამდე, გულის წასვლამდეო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არც ისე ძნელი ასახსნელი უნდა იყოს: ეტყობა „შეგნებული“ ნაწილი შორაპანის ინტელიგენციისა ჰფიქრობს იმ „კულტურულ“ შეჯიბრებით ბრავალი ფული მოიგოს და იმით სამკითხველოს საქმე სამუდამოთ უზრუნველ ჰყოს. და ან თუ, პირ იქით, ისინი მოგების მაგიერ, უკანასკნელ საცვლამდის გაღატაკდნენ და გაიყვლიფნენ,—მით უკეთესი: გაპროლეტარდებიან და იმით ხელს შეუწყობენ სოციალიზმის მოახლოებას.

— —

დიდი „სოციალისტები“ ყოფილან აგრეთვე სოფ. მუხიანელების მიერ (ქუთაისის მაზრ.) დაქირავებული დარაჯნი.

როგორც გაზ. „თანამედროვე აზრის“ კორესპონდენტი იტყობინება, ეს „ხეისთავები“, თუ არ ვიცი ვისი თავები, როგორც „კერძო საკუთრების მოწინააღმდეგენი“ მოახელებენ თუ არა სოფლელთ ორ-ღობეში, სურსათით, იარაღით თუ საქონელით, ყველაფერს—ართმევენ და ცარიელ-ტარიელ უშვებენ... საპროლეტარო გზაზე...

— —

სხვა გრძელი ამბებისათვის ამ ჯერეთ ადგილი აღარა გვრჩება და აქ მხოლოდღა მოვიყვანთ რამდენსამე იმ ახალ, მცირე ზომის, ამბებს,

ქალაქის ახალ ღლასნების არჩევნები, ომიანობის გამო, გადაუდვინებიათ მერმე ომამდის, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობოთ ქალაქის მამინაცვლები.

— —

თბ. ქართ. ს.-აზ. ბანკს შემოხვევით შეუძენია დიდი პარტია შავი კენჭებისა მომავალ არჩევნებისთვის.

— —

და **ქართულ სამეურნეო ბანკს** კიდევ ახალი სტილის ხუთი „კრაოტი“ და რვა ტახტი, მუთაქბალიშით, უყიდნია, დიდი ჯაფისაგან დაქანცულ

*) მეცნიერებაც არის და „მეცნიერებაც“...

გამგე—მოსამსახურეთა დასასვენებლად, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

——

გაზ. „სახალხო ფურცელის'' რედაქცია თურმე წელს დიდ მოგებას მოელის, ვინაიდან უსასყიდლოთ გაზეთის გზავნა მოუსპია თვისი ოთხი-ხუთი დიდის-ხნის მეგობარ-თანამშრომლებისათვისაც კი.

——

„ქაღალდის შიმშილის გამო“, ამას იქით, გაზეთები: „თემი“, „შადრევანი“, „თანამედროვე აზრი“ და „Закав. Рѣч''ъ-ი გამოვა ხოლმე ჯერ-ჯერობით, ფოსტის ქაღალდის ფორმატით და შემდეგ—რამოდენ ზომას ქაღალდსაც კი ჩაიგდებენ ხელში.

——

„ახალ კლუბში“ მოუწყვიათ მასაჟის კურსები.

——

ქართ. სიტყვა-კაზმულ მწერალთა საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია გამართოს ძილში შეჯიბრება. მე თქვენ გითხრათ ქართველებში მონაწილეობის მიმღებნი ცოტანი აღმოჩნდებიან. ჰოდა, სწორეთ, ამ საქმის მოგვარებაშივე სჩანს ჯეროვანი უნარი ზამოთ, ქაღალდზე აღნიშნულ, საზოგადოებისა.

——

ბ. კ. ტყავაძეს, როგორც მრავალ საქმეში გართულ მარტო ხელ კაცს, ხმა წასვლია და ეხლა ქიზიყიდგან, კვირაში ორი პირის მაგიერ, მხოლოდ ერთხელ, კვირაობით, ისმის ხოლმე იმისი ძახილი.

——

დრამატურგს ი. გედევანიშვილს დაუწერია მესამე ნაწილი თვისი ზღაპარ-ფერია—„სინათლისა“, რომლის დადგმასაც აპირებს, ომის გათავების შემდეგ, „გევალის“ დარბაზში.

——

ბ. აბაშელი კიდევ თურმ ყოველ დღე დაჟინებით ამუშავებს თვის ახალ, საყურადღებო, პროზით სავსე პოემას „ანგარიშების“ სათაურით.

——

ბ. აპ. წულაძეს კაი პირობებში „ფოდრათით“ აუღია, ერთ-ერთ რედაქციისაგან, ნეკროლოგების წერა და უკვე დაუმზადებია კიდეც თითქმის ყველა ჩვენ საზოგადო მოღვაწეთა ნეკროლოგები: აღნიშნულ ნეკროლოგებში ბ. ა. წ-ეს თითო სტრიქონის დასატევი ადგილები გამოუტოვებია იმ წინ დახედულ მოსაზრებით, რომ ამა თუ იმ მოღვაწის გარდაცვალებისთანავე, გამოტოვებულ ადგილში გარდაცვალების თარიღს დასვამს და ნეკროლგი მზად დახვდება. ასე კარგია ყოველთვის წინ წაგდებული საქმე!..

——

საქმე კი არა და მგონი თვით ჩემივე თავი გავიხადო უკან გამოსადეგნი, ზოგიერთთათვის არა სასიამოვნო ამბების დღიურიდან გამოყღავნებისათვის, მაგრამ ამაზე ბევრსაც არ ვინაღვლი: „შეკმაზული ცხენი“ თუ არა ყავს, სამაგიეროთ დამზადებული მაქვს „პასპორტი“ სათათრეში გასაქცევად, თათრულს კიდევ „შტატნი მულლასებრ“ თავისუფლად ვლაპარაკობ და მეც მოუსვამ ფეხს!...

გ. ახ—ელი.

გერმანიის ახალ-შენები აფრიკაში

(გაგრძელება)

მცხოვრებნი. გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის მცხოვრებნი წარმოადგენენ თემთა და ხალხთა ნარევს. 1913 წ. აქ ცხოვრობდა 7.650,000 მკვიდრი და 5,336 ევროპიელი უძველესი მკვიდრნი აწინდელ ბუშმენების მზგავსი ყოფილან და დაბალტანოვანნი; ეს ხალხი იკვებებოდა ნადირობით და მეტად მცირე წარმოდგენა ჰქონდა მიწის შემუშავებაზე.

საოცარია, რომ დღესაც აქაური მკვიდრნი უწინდელ იარაღით უვლიან მინდვრებს, არ ასუქებენ მიწას, გერმანელთა ვერა ღონის ძიებამ ვერ მიაჩვია ისინი ფასიან და გამოსაზიდათ გამოსადეგ მცენარეთა გავრცელებას, რადგან ასეთი მცენარენი თხოულობენ მიწის სხვანაირ დამუშავებას. ხოლო სეზამს და მიწისთხილას სთესვენ გამოსაზიდავად.

ფეტვის, ბანანის და ინდოეთის კაკლის ზედმეტს მოსავალს მკვიდრნი არ ინახვენ, ხოლო აკეთებენ მათგან სპირტიანს სასმელებს. გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის მეურნე ხალხს ჰყავს მხოლოდ თხა, რომლის ხორცს ხმარობს საჭმელად, საჭმელად არა ხმარობს, არც ქათამს, არც თუ მის კვერცხს.

ქათამს იყენებენ მხოლოდ მისნობისთვის. მისი სადილიც მეტის მეტად მარტივია. იგი პურს არ აცხობს, სჭამს მხოლოდ ფაფას და მწვანილეულობას, შემწვარს და შეუმწვარს. მას ვერ ძალუძს სუფრისთვის იხმაროს შესაჭმელი გარეული ბალახეული და მწვანილი.

ჩრდილოეთის მხრის მწყემს ხალხს ქამიტებს და დასავლეთის ზანგ-ზულუსებს ჰყავთ რქიანი საქონელი და დუმიანი ცხვარი. საქონელს აქ არ ამუშავებენ არც ტვირთის საზიდავად, არც ახევინებენ მინდორ-ველს. ამიტომ საქონელი მკვდარი სარჩოა მათთვის. ხმარობენ მხოლოდ რძეს და კარაქს. კარაქს იცხებენ კანზე, საჭმელად კი არ ხმარობენ. მწყემსნი მოვალენი არიან უდარაჯონ საქონელს, რომ იგი არ მიუახლოვდეს ჭაობიან ადგილებს, სადაც ცხოვრობს ბუზი ცეცე, სასიკვდილო ავადმყოფობის გამავრცელებელი საქონლის შორის. არა ნაკლებ საშიშია საქონლისთვის ერთი ტიპთაგანი, სავანნეს მცხოვრები და ზღვის ნაპირა ციებ-ცხელების გამავრცელებელი. მისგან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ ბალახის ყოველწლიურ დაწვის საშუალებით. ბუზი ცეცე, როგორცა სჩანს, არის საქონლის ტვირთის საზიდავად მოუხმარებლობის უმთავრესი მიზეზი, რადგან სავაჭრო გზები, რომელთა საშუალებით ქვეყნის შუაგული ეკავშირება ზღვის ნაპირს, ცეცე არ შორდება.

ცხელი ჰავა და ციებ-ცხელების შორს მანძილზე გავრცელება აფერხებენ ევროპიელთ მიერ ქვეყნის დასახლებას, თუმცა 1,500—2 ათასი მეტ. სიმაღლეზე ევროპიელნი ცხოვრობენ თითქმის უვნებლად; ამ სიმაღლეზე კილიმანჯაროს ფერდობებზე შეგროვილია მოსახლეთა უმეტესი სანერგები და ფერმები.

მოსახლეთა უმთავრესი ნაწილი გერმანელნი არიან; აქ ცხოვრობენ, მათ გარდა, ბურები, რუსეთის გერმანელნი, ინგლისელნი და იტალიელნი— მხარობენ ყავას, კაუჩუკის ჯიშებს, რომლის ქერქში საბადაღნო მასალის 50 პროცენტია, ქინა-ქინის და ქაფურის ხეებს, ჰილს, შაქრის ლერწამს, ბამბას, შოკოლათის ხეს და ბრინჯს; ბურები და რუსეთის გერმანელნი სთესვენ აგრეთვე პურს.

რამდენიმე სახელმწიფო გამოცდის სადგური იკვლევს ტროპიკული მცენარეთა მოყვანის წესებს და ცდილობს გააუმჯობესოს საქონლის ადგილობრივი ჯიშები. ევროპიელნი ნადირობენ სპილოებზე, მარტორქაზე და წყლის ცხენზე (ჰიპპოპოტამი) მათ ფანიან კბილების და რქების გამო. ნადირობის მაღალ ფასიანმა ჯარიმამაც ვერ იხსნა პირუტყვნი ხოცვა-ჟლეტისაგან. უკანასკნელ წლებში მთავრობამ შემოიღო მკაცრი კანონები და შეჰკრა დიდძალი ადგილი, სადაც ნადირობა სრულიად აღკრძალულია, მიწის სიმდიდრეთაგან მხოლოდ ოქროს მადნებს აწარმოებენ; აღმოუჩენიათ აგრეთვე ქვა ნახშირის, რკინის, ტყვიის, სპილენძის და მარილის მადნეულობა და ძვირფასი თვლების ადგილ მდებარეობა. საზღვარ გარეთ აქედამ დაიარება, „გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის გემთა კომპანია"; ეს უკანასკნელი იღებს $1/_2$ მილიონს მარკას ყოველ წლიურ სახელმწიფო დახმარებას და გზავნის სამ კვირაში ერთხელ ფოსტის გემს ევროპიდამ; ამას გარდა ქვეყნის რვა ყურე ეკავშირება ერთმანეთს გემთა საშუალებით. ფრიად მაღალი ხარჯი საშინლად აბრკოლებს ახალშენის ზრდას, თუმცა ჩინოსან ხალხს და ზოგიერთს მოვაჭრე კომპანიას დაბალ ფასში უზიდავენ ტვირთს.

ტვირთთა გამოსაზიდი მაღალი ფასები სახელმწიფოს არ აძლევს მკვიდრთაგან ზედმეტ დამუშავებულ დაბალ ფასიან ნედლეულის (სიმინდის და სხ.) გამოზიდვის საშუალებას. მეორეს მხრივ ზოგიერთი მძიმე და იაფი ფაბრიკატი (მაგ. რკინა) ვერ შეაქვთ ახალშენში. 1911 წ. აქ შემოტანილი იყო ტვირთი 45,892,000 მარკ. (ქსოვილი მასალები,—14 მილ. მარკ., რკინეულობა და რკინის იარაღი—9,8 მილ. მარკ., მცენარეთა მასალები 8,8 მილ. მარკ.); გატანილი იყო—22438000 მარკ. (კაუჩუკი—4,8 მილ. მარკ., სეზალის ძაფი - 4,5 მილ. მარკ., ტყავი და კანი—3 მილ. მარკ. და სხ.)

უდიდესი სავაჭრო მნიშვნელობა აქვთ ყურეებს—ახალშენის უმთავრეს ქალაქს დარელსალამს და ტანგას, რომელნიც რკინის გზით ეკავშირებიან ქვეყნის შუაგულს ნაწილებს. პირველი რკინის გზით ერთვის ქალ. ტაბორს, მეორე—კილიმანჯაროს არე-მარეს. ქრისტიანთა მისსიები ავრცელებენ კულტურას მკვიდრთა შორის. ასე სახელმწიფოს სკოლებში სწავლობს 6,177 ყმაწვილი, როცა 9 პროტესტანტთა და 3 კათოლიკეთა მისსიაში ითვლება 108,500 მოწაფე. იგივე მისსიები აშენებენ საავადმყოფოებს და მოღვაწეობენ მკვიდრთა კეთილდღეობის აღსადგენად მიწის მეუნეობის წესების გაუმჯობესების საშუალებით.

სიმშვიდეს და სიწყნარეს იცავს ჯარი და პოლიცია, რომელში მსახურებს 2,472 მკვიდრი და 261 ევროპიელი, ახალშენის შემოსავალი არ ჭფარავს მთავრობის ხარჯს, ასე რომ გერმანია ყოველ

წლივ აგებს 3,600,000 მარკას (1913 წ.) თავის ხაზინიდამ.

სანერგეთა შესამჩნევი გაუმჯობესება გვიჩვენებს რომ ამ ახალშენის მომავალი საუცხოვოა.

გ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სხვა და სხვა ამბები

ქართ. ქალ. ამხ. განათლების „სკოლაში“ ამ კვირას ქართ. ქალ. ამ. „განათლების“ სკოლამ გამართა გამოფენა მოწაფეთა ნამუშავარისა. გამოფენა მრავალ მხრით იყო საინტერესო: ქარგვა, ჭრა-კერვა, მხატვრობა და სხვა. ყოველი დარიგი განსაკუთრებულს ყურადღებას იპყრობდა. გამოფენაზევე იყო საბუნების მეტყველ განყოფილება. აქ ჩვენ ვნახეთ საგეოლოგიო მრავალი ნიმუში, ჩვენი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ნივთები, შეკრებილი და შედგენილი იაკ. სხვ. ზედგინიძის მიერ. თვითეულ განყოფილების მრავალ ფეროვნება და, რაც უფრო საინტერესოა, ნიშანი მუყაითობისა და ერთგული შრომისა, გვაბედვინებს უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ხსენებულ სკოლის გამგეობას, რომელსაც ძალ ღონეს დაუზოგავია, რომ ჩვენს ნორჩ ბავშვებისთვის შეესწავლებინა შრომა, დაკვირვება, ზოგიერთა ნაწარმოები, მაგალითად, ქარგვა-კერვისა და მხვატვრობისა, პირდაპირ სანიმუშოა. ვუსურვებთ მესვეურთ მეტს მხნეობას, მეტს ენერგიას რომ ყოველ წელს ასეთი სასიამოვნო გამოფენა გაემართოთ თავიანთ მოწაფეთა მუყაითობისა და შრომის ნაყოფის დასამტკიცებლად.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

✦ დარდანელის სრუტეში ოსმალეთის ნაღმით დაიღუპა ინგლისელთა ჯავშნოსანი „გოლიათი“.

✯ **გერმანიის ფლოტი.** სუზდვაო „Times“-ის რედაქტორი ჭფიქრობს, რომ გერმანიის ფლოტი უმოქმედოდ ადარ გაჩერდება, რადგანაც ეხლა საკმაოდ მოდონიერდა ახლად ჩაშვებული სამხედრო გემებითაო. აბრიდამდე გერმანიის სამხედრო ფლოტში 33 გემი ითვლებოდა. ამაოში არ ანგარიშობენ სანაბიროდ მოდარაჯემ სუბუქ კრეისერებს. ამ თვეში ჩაუშვიათ ოთხი ახალი კრეისერი., „კიონიგი“, „კროსერ კურფიუსტი“, „მარკგრაფი“ და „კრონპრინტი“. ამ ჟამად ადმირალ ფონპოლის განკარგულებაშია 17 დრედნოუტი.

✯ **სამხედრო ცენზურა საფრანგეთში.** „Revue de Paris“-ში დაბეჭდილია სამხედრო ცენზურის საქმიანობა საფრანგეთში, იგი სასტიკად სჯის გაზეთებს, ხშირად კონფისკაციას ახდენს, ანუ სრულიად ჭხურავს გაზეთებსაო. თავისუფლებას შეჩვეულ ფრანგებს ასეთი რეჟიმი შეურიგებლად მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთები წინასწარ ასრულებენ ცენზურის დირექტივებს, მაინც დახურვას ვერ ასცდა თვით კლემანსოს ცნობილი გაზეთი., „L'honiure libre“. შემდეგ „hanterne“-ი. ეს გაზეთი დაუხურიათ იმიტომ, რომ გენერალ ჟოფრის განკარგულება გამოაქვეყნა; ასეგე დაჭხურეს „L'auto“ ტეხნიკურ ხასიათის წერილის გამო, „hilre parole“ რომელმაც დასტამბა გოლდენ დე-ვილენის სტატია და მრავალი სხვა. ხშირადაო, ამბობს ხსენებული გაზეთი, ცენზურის თვალ საზრისი კარიკატურულ სახეს იღებს და დილიდან საღამომდე ათასჯერ იცვლებაო. ის წერილი, რომელიც შუადამემდე შეუწყნარებლად უცვნიათ, ხშირად დილისთვის შესაწყნარებელი ხდება. ხშირად ისიც კი ხდება ხოლმე, რომ წერილის ბედი თვით ცენზორის ნერვებსა და გუნებაზეა დამოკიდებული იმისდა მიხედვით თუ რა ნერვების ბატრონი ცენზორი კითხულობს წერილს, მისი დაბეჭდვის ბედიც ისე სწყდებაო.

✯ **„ლუზიტანიის“ დაღუპვა.** გასულ კვირას გერმანელებმა წყალქვეშა ნავის შემწეობით დაჭდუბეს ინგლისის სამოგზაურო გემი „ლუზიტანია“. გემი ამერიკიდან მოდიოდა. როდესაც ნავთსადგურს შორდებოდა, უკანა მგზავრებმა მიიღეს ტელეგრამები, ნუ მიდიხართ, ჩამოდიო გემიდან, რადგანაც გერმანელთა წყალქვეშა ნავი აბირებს თავზე დასხმასაო. მგზავრები აღშფოთდნენ. გემის გამოსვლა დაგვიანდა. მაგრამ შიში საბოლოოდ უსაფუძვლოდ იცნეს და ოკეანეში გასტურდნენ. ერთმა მიდიარდელმა ვანდერბილდმა ტელეგრამა დემონსტრატიულად გადაჭხია და დამუქრებით დაიძახა: აბა, რასაც გვიზავენ ამასაც დავინახავთო. გემი დაიძრა. იგი უკვე მიდწეული იყო მიზანს,—რომ უეცრივ წყალქვეშიდან ამოჭდო ნავმა თავით და ორი წალმით დაჭდუბა ეს უზარ-მაზარი გემი. მოგზაურთაგან ძალიან ცოტა გადარჩნენ. როგორც საბოლოოდ გამოირკვა, დაღუბულთა რიცხვი 1500 კაცს აღემატება. დაღუბულთა შორის ურევია როგორც მიდიარდელი ვანდერბილდი, ისე ინგლისის ბრემიერ მინისტრ—ასკვიტის ვაჟიშვილი-ლეიტენანტი...

გემის დაღუბვისას სხვა და სხვა სახელმწიფოთა ბროტესტები გაისმა. გერმანელები თავს მართლულობენ: გემი შეიარაღებული იყო, ზედ სამხედრო მასალა მიჭქონდათო...

ეს გემი ეკუთვნოდა ინგლისელთა კომპანიას, Cunard-ს. ზღვაში ჩაუშვეს 1907 წელს. თავის დროზე მსოფლიოზე ეს უდიდეს გემად ითვლებოდა. (შემდეგში ამ გემზე უფრო დიდებიც აგეს, როგორც მაგალითად, ცნობილი დიდებული „ტიტანიკი“ „ოლიმპიკი“, და „იმპერატორ“ ამ გემის სიგრძე უდრიდა 240 მეტრს. თუ სიგრძეზე დავაყენებდით, გემის თავი სახაზინო თეატრს მოჰხვდებოდა, ხოდო ბოდო ბარიატინის ქუჩას. მისი ოთხი საკვამური მიდი სიმაღლით 48 მეტრს უდრიდა. წყალ სადენი და საორთქლე მიდები ერთად რომ გაგვეგრძელებინა თბილისიდან ქუთაისამდე გაიწიმებოდა. სისწრაფე გემისა საათში უდრდა 25 3/4 კვანძს. ირლანდიიდან ნიურკამდე ოთხ დღე ნახევარში მიდიოდა და 68 ათას ცხენის ძალ-დონეს ჭეარჯავდა, 6 250 ტონა (250 ვაგონ) ნახშირს, ესე იგი სწორედ იმდენს, რაც ბირიზს 4 დღის განმავლობაში ეხარჯება განათლებაზე ელექტრონის მანქანა იმდენ ენერგიას იძლეოდა, რომ მთელ ქალაქს თამამად ეყოფოდა განათებად. მისი ეკიპაჟი შესდგებოდა 827 კაცისაგან. მიჭეავდა 3 ათასზე მეტი მოგზაური. თქმა არ უნდა, მოწყობილება ამ მოცურავე ქალაქისა ფრიად მდიდრული იქნებოდა. გემის მარტო ერთი აგება დაჯდა 20 მილიონი მანეთი.

☆ **კრეისერი „კრონპრინც ვილჰელმის“ თავგადასავალი.** ამ ჟამად ნიუორკში დაკავებულია გერმანელთა კრეისერი „კრონპრინტ ვილჰელმი“ ფრიად საინტერესოა ამ მეკობარ კრეისერის თავ-გადასავალი. აი, ერთი მისი უკანასკნელი ეპიზოდთაგანი: ნიუორკისაკენ გეზი დაიჭირა, მან რვადერჯერვე დაიჭირა უმართულო ტელეგრამა, რომლებითაც გაიგო, რომ მას ახლო ინგლისელთა კრეისერები იყვნენ. დამით კიდეც შეეყარა ინგლისელთა მოდარაჯე კრეისერს. „ვინ ხართ?— ჩვენ ინგლისელთა სამხედრო გემი ვართ. გერმანელებმა უპასუხეს: „ჩვენ იგლისელთა სავაჭრო გემი, მივალთ ჭეარში“. ინგლისელები დაკმაყოფილდნენ ასეთი პასუხით და თავი გაანებეს. გერმანელთა კრეისერმა ჩაქრო სინათლე და ჭენრის კონტიხისკენ გაეშურა და თან განაგრძობდა უმართულო ტელეგრამების ჭერას. კვლავ ატეობინებდნენ, უფრთხილდით, ინგლისელები გარს გბერტუმინო. ნიუკიდან გასვლისას მას სამხედრო იარადი ადარ ჭეოფნიდა. იფიქრა, „კრსლერუეს“ ვნახავ და იქიდან გადავიტანო. მაგრამ გზად მან მოახერხა, ინგლისელთა გემის „ლაკორენტინის“ დატყვევება, სიიდანაც ორი ზარბაზანი გადაიტანა. შემდეგ დაჭდუბა რამდენიმე გემი. მომეტებულად ჭდუბავდა სავაჭრო გემებს. მოკლე ხანში 1000 ტყვემდე მოუგროვდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სურსათი ადარ ჭეოფნიდა. ორი თვის შემდეგ მან მოახერხა ტყვეების გადასხმა. მას მიეშველა „კარსლერუე“, სიიდანაც იარადი და სურსათი გადიტანა. მათ ერთად მიასწრეს ინგლისელთა სამმა კრეისერმა, მაგრამ მცირე ბრძოლის შემდეგ გაიქცნენ და დაიმალნენ. ერთ დატყვევებულ გემიდან მათ გადუზიდნიათ 5, მიდიონი გირვანქა ხორცი, ფრანგთა გემიდან „უნიონიდან“ წაუღიათ 3, ათასი ტონა ნახშირი. მან დაატყვევა ინგლისელთა ერთი გემი „შას ჰიდი“, რომელიც იმ ჰირობით გათავისუფლა, თუ ტყვეებს ნაპირზე გადასხვდა...

თეატრი და ხელოვნება

წარსულ სამშაბათს, 28 აპრ. ქართვ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნა სენკევიჩის ცნობილი პიესა „ვიდრე ხვალ“. პიესა მარილიანად იყო დადგმული. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნთთ მსახიობთა ცოტაოდენი უყურადღებობა: რას ნიშნავს, რომ თითქმის ყოველთვის უგრიმოდ გამოდიან? გრიმს ჩვენი მსახიობნი მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რითაც ფრიად არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ მაყურებელზე. საკმარისია მსახიობმა ფეხი გამოსდგას სცენაზე, რომ მაშინვე ჩურჩული გაისმას თქვენს გარშემო: „ზარდალიშვილი... იმედაშვილი...“ სასცენო ხელოვნებისთვის ეს დიდი დეფექტია. არც ის არის მოსაწონარი, რომ სხვა და სხვა ტიპებში ერთი და იგივე პარიკი გაიკეთოს მსახიობმა. მაგალითად, შენიშნულია, რომ ა. იმედაშვილს შეჰყვარებია წაბლის ფერი ხუჭუჭა თმა. და ამ პარიკით თქვენ ნახავთ სრულიად სხვა და სხვა ჯურის, სხვა და სხვა ქვეყნის ტიპების დასახატავად. მაგრამ ყველა ეს გაკვრითი შენიშვნაა. ჩვენ გვსურს თვით თამაშს დავუბრუნდეთ.

ამ პიესას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავის მხატვრობით. უმაღლესი არისტოკრატიზმი, რომელსაც თვით ავტორი სენკევიჩი ჰზიარებია, პეტრონიუსის განსახიერებაში გამოიხატება. ამიტომ, ხელოვანი მსახიობი, ვინც ამ როლს იკისრებს, საუცხოოდ დააგვირგვინებს კიდეც ამ მხრით ბ-ნ ზარდალიშვილს მეტი შნო ჰქონდა გამარჯვებისა, მაგრამ... როგორც სხვა და სხვა ადგილას სამჯერ ამბობს პეტრონიუსი თავის როლში „დავმარცხდი“, „კიდევ დავმარცხდიო“, ჩვენი ახალგაზდა მსახიობი, მართლაც, დამარცხდა უმთავრესად უდიდეს მომენტებში, დამარცხდა არა მარტო იმიტომ, რომ ჯერ ერთი პეტრონიუსი მეტად ახალგაზდა, თვით ტსიავნ

5 586 / 1915 / 2

მარკუზე ᲭᲐᲑᲣᲙᲘ პიროვნება დაგვიხატა, არამედ იმიტომ უფრო, რომ ყალბადა აქვს გაგებული. ასტერის ადგილას, არც ერთს მომენტში ჩვენ ვერ ვნახეთ ის უმაღლესი არისტოკრატიზმი, რომლის განხორციელებაც იყო პეტსონიუსი. სხვა რომ არა ვთქვათ რა, გავიხსენოთ სცენა, როდესაც ნერონს ბრბო აუჯანყდება და სასახლესთან მოეჭრებიან გაშმაგებით შეშინებულ ნერონის ადგილს პეტრონიუსი ჩამოდის, მედიდურად, ამაყად, მის წინ დარაჯთა ლეგიონი უნდა გარღვეულივო. ის პირისპირ წარუდგება ამღვრეულ ბრბოს, მაგრამ მშვიდი, ოლიმპიური სიდარბაისლით, როგორც ეს შეჰფერის რომაელ არისტოკრატს, მშვიდად ეუბნება, თქვენ, ვინც წინ დგეხართ, გადაეცით თქვენ უკან მდგართ, რასაც მე გეტყვითო და შემდეგ კიდეც გაიმართება ბაასი. ეს შენიშვნა თავისთავად ჰგულისხმობდა მშვიდსა და აუღელვებელს კილოს. ბ-ნი ზარდალიშვილი ტერასიდან გადმოდგა და ჩვენებურ პროპამონდრსტთა სახით ღმერთი აღარ მოიგონა თვისი მღელვარე და ამამაღლებელი კილოთი. ბრბოს სუნთქვამ, რის შესახებაც შეჰნიშნავს პეტრონიუსი, ამ საძაგლებსა როგორი სუნი დააყენესო, ისე ᲒᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲓ ჩაიარა, რომ უნებურად გული დაგვწყვიტა. ახლა ამას დაუმატეთ მშრალი კილო და მიიღებთ მეტად ბერნ არისტოკრატის ჩონჩხს და არა ისეთ დიდ ბუნებოვან ადამიანის აჩრდილს, როგორც იყო პეტრონიუსი.

მარკუს ტრიბუნი უფრო ცოცხალი ტიპი იყო. ა. იმედაშვილის მდიდარ ტემპერამენტს, თუ კი მას მოუვლიან, გასთლიან, უეჭველია, მეტად კარგს და ნიჭიერ მსახიობად მოუვლენენ ჩვენს თეატრს, ვერ ვიტყვით, რომ იგი უნაკლულო იყო, არა, ამ მხრივ მასშიაც შეიძლება აღვნიშნოთ **საზოგადო** ნაკლულევანებანი, მაგრამ როდესაც მოულოდნელად ნამდვილ არტისტიულ ხაზებს დავინახავთ ხოლმე მის თამაშში, ჩვენებად ვართ მსახიობს ვაპატიოთ ყოველისფერი და წუთიერ სიამოვნებისთვის მადლობა გადაუხადოთ. ასეთ დიდ მომენტად და არტისტიულად შესრულებულ სურათად მიგვაჩნია მეხუთე მოქმედება, როდესაც ველურ ხარის რქებზე გასულ ლიმიას დაინახავს მარკუსი და ზარდაცემული ზერასზე შემოჭრისთანავე თვალზე ხელებ მიფარებული წამოიძახებს: არ შემიძლიან, ვერ ვუყურებ... აქ მსახიობმა სასოწარკვეთილების უმშვენიერესი აპოთეოზი დაჰხატა და დამსწრე საზოგადოება გრძნეულობით მოაჯადოვა, არა, სულ სხვაა ამ ახალგაზრდა მსახიობის ცეცხლი, დიდი შეძენაა ჩვენ თეატრისთვის, მას მხოლოდ მოვლა ეპირვება...

არ შემიძლიან გაკვრით არ შევეხო მესამე ძალას — კორიშელს. აი, სინიდისიერი და მუყაითი მშრომელი მსახიობი! მას ვერას დროს წახავთ, რომ როლი არ იცოდეს. მუდამ შესაფერი სვლა, გაუზვიადებელი მოხაზულობა, გრიმი... შეიძლება დიდი ნიჭის პატრონიც არ იყოს ეს მსახიობი, ამ სიტყვის ბეჯითი მნიშვნელობით, მაგრამ რასაც ის აღწევს თავის შრომით, ეს მართლაც რომ ტაშის დასაკვრელი და საქებური! ამ საღამოსაც მისი ხილონი თავიდან-ბოლომდე დაკვირვეით იყო შესრულებელი.

ჭიაურელზეც შეიძლება შევჩერდეთ ცოტა: ეს ახალგაზრდა მრავალფეროვანი ნიჭით არის დაჯილდოვებული. იგი ყოველს სფეროში აფათურებს ხელს და თვის ნამდვილ მოწოდებისთვის ვერ მიუგვნია. მაგრამ ეს სხვათაშორის, როგორც მსახიობი როდესაც იგი მიაგნებს თავის ნიჭის შესაფერს, უტყუარად ხელოვანია. ხშირად გვინახავს ახალგაზდა სხვა და სხვა როლებში, მაგრამ არც ერთხელ ვერ გაგვიცნია იგი, საოცრად იცვლის ხმას და თავიც სხვა და სხვა დროს სულ სხვა და სხვანაირად უჭერია ეს ფრიად დამახასიათებელია მისი სასცენო ნიჭისა. სამწუხრად იმ დღეს, მისი ფაქიური სუსტი გამოდგა, აკლდა სულის მისტიური სიძლიერე, შთამგონებული ხმა, როგორიც უნდა გვეგულისხმა ქრისტიანობის პირველ მქადაგებელიდან.

გ. გედევანოვი ძველი ნაცნობი მსახიობია. მისი ნერონი ფერადებით არ იყო მყვირალა, არამედ ზომიერი, დაკვირვებული. ალაგ-ალაგ ხმის კვეთება და უცნაური ამაღლება რომ არა ჰქონიყო, ბევრად უფრო სრული და უნაკლულო იქნებოდა იგი.

სვიმონიძე უფრო კარგი ურსი იქნებოდა, რომ მის ახოვნების და ჰერკულესის შეხედულების შესაფერი ძალ-ღონე ჰქონიყო და პატარა აბლას ზურგზე შეხტომის დროს ხელები საოდავად არ აცახცახებიყო. სჩანს იმასაც სიბერე სწვევია,რას იზავს...

აბლი... ცქრიალა აბლი საკმაო სიცქვიტეს ჰპოვებდა ქ-ნ ტ. აბაშიძეში. არამედ გადაჭარბებული სითამამით სრულებით გაკარიკატურდა და სათნო ბავშვის ნაცვლად მივიღეთ საკომიკო ტიკონი.

ნ. ჩხეიძის ასულს აკლდა ლიგიას სიწმინდის შარვანდედი- ამას ვამბობთ გარეგნულად. რაც შეეხება თამაშს, როგორც ყოველთვის, დღესაც იგი უნაკლულო იყო.

ევნიკა — ქ — ნი ქიქოძე კარგი იყო ჩვეულებრივ სცენებში, მხოლოდ მისი თამაში სრული დეფეკტით გათავდა ქანდაკთან სცენის დროს და ამ ვების სიყვარულის გამომჟღავნებისას.

ეფემია მესხი, თითქმის როგორც ყოველთვის, უგულოდ თამაშობდა: პოპეია მეტად გასტანცა თვის უმეტყველო მეტყველობით... **დიოგენი.**

რედაქტორ-გამომცემელი **რ. გაბაშვილი**

ნება-დართულია სამხედრო ცენზურისაგან. ელ.-მბ. სტ. არ. მ. კერესელიძისა, გაბ. შეს. № 1.